# 1966-ის პირველი სტარტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეაშ ასე: ჩვენს პლანეტაზე მოვიდა ახალი წელი! და მის პირველივე წუთებზე, როცა მილიონი ადამიანი ახალი წლის მობრძანებას ზეიმობდა, ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში დაიწერა „ახალდაბადებული" 1966-ის სპორტული მატიანეს პირველი სტრიქონი. ამავე დღეს ბევრი ქვეყნის სპორტსმენებმა იასპარეზეს ჩრდილოეთსა და სამხრეთში, მაღალ განედებსა და ეკვატორის ახლოს. ერთი სიტყვით, სპორტული წელიწადი დაიწყო...

◆ სან-პაულუ. ახალი წლის პირველ ჩემპიონად ტრადიციულად გვევლინება ბრაზილიის მეორე ქალაქის — სან-პაულუს ქუჩებში გამართულ მძლეოსნურ გარბენში გამარჯვებული. ეს საინტერესო შეჯიბრება — „სან-სილვესტრის კორიდა" იწყება ძველ წელიწადს, ხოლო მთავრდება ახალ წელს. 7400-მეტრიანი ტრასა ამჯერად ყველაზე სწრაფად გაირბინა სან-პაულუს მკვიდრთა ძველმა ნაცნობმა, „კორიდის" შარშანდელმა გამარჯვებულმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 28 წლის გ. რულანტსმა (ბელგია). შეჯიბრებისას ძალიან წვიმდა, მაგრამ ქუჩებში უამრავი ხალხი გამოფენილიყო. აღტაცებული მაყურებლები სიმღერითა და ტაშით მიესალმნენ ბელგიელ კომივოიაჟერს, რომლის დროა 21.20,1.

◆ გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ). აქ გაიმართა „4 ტრამპლინის ტურნირის" II ეტაპი. და ისე, როგორც I ეტაპზე (ობერსტდორფში), უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურე" აღმოჩნდა კვლავ ფინელი, მაგრამ არა ვ. კანკონენი, არამედ პ. ლუკარინიემი. მან დააგროვა 215,3 ქულა (ნახტომები — 86,5 და 88 მ). საბჭოთა სპორტსმენებს კვლავ ბედი არ წყალობდათ: მათგან საუკეთესომ — გორკელმა მ. ვერეტენიკოვმა მხოლოდ XIV ადგილი დაიკავა (200,6 ქულა, 85 და 84 მ). 2 ეტაპის ჯამში ლიდერობს კანკონენი — 423,9 ქულა. მოსკოველი ა. ივანიკოვი 396,2 ქულით VIII ადგილზეა.

◆ კოლორადო-სპრინგსი. ბრაუნის მემორიალზე ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები დამარცხდა კანადის ეროვნულ გუნდთან — 2:3. მეორე ადგილი (საბჭოთა სპორტსმენების შემდეგ) დაიკავეს კანადელებმა.



სურათზე: კოლორადო-სპრინგსში ბრაუნის მემორიალზე სსრ კავშირისა და შვეციის ჰოკეისტთა შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:3.

ფოტო იუპი-საკდესისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 2 (2979) ● შაბათი, 4 იანვარი. 1966 წ. ● ფასი 2 კაპ.

◆ სტოკჰოლმი. ახალგაზრდა საბჭოთა მოთხილამურემ ა. ვედენინმა ისევე, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ, გაიმარჯვა შვეციაში გამართულ შეჯიბრებაში — ამჯერად ქალაქ ედსბიუნში. 24-გრადუსიან ყინვაში მან 9-კილომეტრიანი მანძილი გაირბინა 29 წუთსა და 6 წამში. 6 კილომეტრზე გოგონათა რბენაში I და II ადგილები ასევე საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად—ტიხონოვასა (24.32,0) და ხლავოვას (24.36,0). მასპინძლებს მათ 2 წუთზე მეტი მოუგეს.

◆ კალკუტა. ინდოეთის ღია ჩემპიონატში ოქროს 3 მედალი მოიხვეჭა ტალინელმა ჩოგბურთელმა ქალმა ტ. სოომემ. ერთეულთა შეხვედრების ფინალში მან დაამარცხა ამერიკელი კ. პროზენი — 6:3, 1:6, 6:1. შემდეგ ფინალისტები — სოომე და პროზენი — წყვილთა ასპარეზობის გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ მასპინძლებს — ბ. კხანსა და რ. სურაიას და გაიმარჯვეს — 6:2, 6:0. ოქროს მესამე მედალი სოომემ დაიმსახურა შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში: ა. მეტრეველთან ერთად მან სძლია ინტერნაციონალურ დუეტს — ნ. კალოგეროპულოსსა (საბერძნეთი) და პროზენს — 2:6, 6:2, 6:3.

◆ ჰასტინგსი. ტრადიციული საჭადრაკო ტურნირის IV ტურის ცენტრალური პარტია საბჭოთა დიდოსტატ ბ. სპასკისა და რუმინელ ფ. გეორგიუს შორის შეწყვეტილ იქნა მე-40 სვლაზე... კბილის ტკივილის გამო. რუმინელი დიდოსტატი კბილის ექიმთან გაიქცა. სამაგიეროდ, მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ე. ვასიუკოვმა უკვე 23-ე სვლაზე მოუგო უ. ჰარსტონს (ინგლისი).

◆ ჩელიაბინსკი. სეზონში 10-კილომეტრიანი რბენის პირველი სტარტი აიღეს აქ „ტრუდის" სტადიონის მშვენივრად მომზადებულ ყინულზე საბჭოთა კავშირის უძლიერესმა მოციგურავეებმა. ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. კაპლანმა — 16.07,5. 1500 მეტრზე რბენაში თავი გამოიჩინა ევროპის ჩემპიონმა, მინსკელმა ე. მატუსევიჩმა მისი დრო — 2.10,1 — სსრ კავშირის საუკეთესო მიღწევაა დაბლობის საციგურაოებისთვის.

◆ ნიუ-იორკი 22 წლის რ. ფიშერმა თავისებური რეკორდი დაამყარა: მან მეშვიდედ მოიხვეჭა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის წოდება ჭადრაკში. ფიშერმა 8,5 ქულა დააგროვა და 1 ქულით გაუსწრო ოსტატ რ. ბირნსა და დიდოსტატ ს. რეშევსკის.

◆ ნიუ-ორლეანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში მდებარე ამ ქალაქში ზამთარი ისეთი თბილია, რომ მძლეოსნები ღია ცისქვეშ ასპარეზობენ. 100 მეტრზე რბენაში თავი ისახელა მძლეოსნობის საბჭოთა მოყვარულთა ნაცნობმა ჯ. ანდერსონმა — 10,2 წამი. 1500 მეტრზე რბენაში ჯ. რიუინმა აჩვენა 3.42,7, ხოლო აშშ-ის ნაკრების მეორე მონაწილემ — ვ. დავენპორტმა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,9.

## საქართველოს სპორტკავშირს

# გილოცავთ მაღალ ჯილდოს

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავს საქართველოს სპორტსმენებს, ფიზკულტურელებს, ფიზკულტურულ მუშაკებს რესპუბლიკის დაჯილდოებას ლენინის მეორე ორდენით და უსურვებს მათ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს 1966 წელს.

ი. მაშინი,

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ტ. სოომესა და ა. მეტრეველის „ოქრო" — 1-ლი გვ.

მძლეოსანთა ავანგარდი — მე-3 გვ.

კიევის „დინამოს" მეტოქე ლიდერონსი — მე-4 გვ.





დნეპროპეტროვსკის ოლქი. დნეპროძერჟინსკის სპორტკლუბ „პრომეთესთან" აიგო ბავშვთა სპორტსკოლის შენობა, რომელშიც მოწყობილია ორი სპორტდარბაზი, ექიმის კაბინეტი, სალექციო დარბაზი, საშხაპეები, გასახდელები და სხვა სათავსოები. სკოლის საზეიმო გახსნის დღეს აქ გაიმართა საინტერესო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სურათებზე: მარცხნივ — სპორტსკოლის შენობა; მარჯვნივ — დნეპროპეტროვსკის „სპარტაკისა" და დნეპროძერჟინსკის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. ზაპარისა (საკდესი).

◆ ინსბრუკი, 3 იანვარი. დაიწყო „4 ტრამპლინის ტურნირის" ავსტრიული ნახევარი, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებს კვლავ არ წყალობთ ბედი. ბერგ-იზელის მთაზე წამოჭიმულ დიდ ოლიმპიურ ტრამპლინზე გამართული შეჯიბრების გმირად მოგვევლინა 25 წლის „მფრინავი მოთხილამურე" დ. ნოიენდორფი (გდრ). მან თავისი მეგობრისა და მასწავლებლის — რეკნაგელის სტილში გაიმარჯვა: დააგროვა 226,1 ქულა (ნოიენდორფის საუკეთესო ნახტომები უდრიდა 88 და 89 მეტრს). საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა 20 წლის მ. ვერეტენიკოვს (206,4 ქულა; 80,5 და 86 მ). „4 ტრამპლინის ტურნირის" 3 ეტაპის ჯამში დაწინაურდა ნოიენდორფი — 645,2 ქულა. 6 იანვარს გაიმართება ამ შეჯიბრების ბოლო ეტაპი — ხტომები ბიშოფსჰოფენის ტრამპლინიდან.

◆ ვარეზე, 3 იანვარი. იტალიის ამ ქალაქში წარმატებით დაიწყეს ტურნე საბჭოთა ნაკრების კალათბურთელმა ვაჟებმა. მათ დაამარცხეს ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — „იგნისი" — 77:72. საბჭოთა კალათბურთელთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: პაულაუსკასი (22 ქულა), სელიხოვი (15) და სალუხინი (11). მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო ამერიკელი კემპბელი (18 ქულა). საბჭოთა ნაკრები კიდევ სამ მატჩს გამართავს იტალიის უძლიერეს კლუბებთან.

## საათი!

◆ ჰასტინგსი, 3 იანვარი. ტრადიციული საჭადრაკო ტურნირის V ტურში იუგოსლაველმა ს. გლიგორიჩმა მოუგო ინგლისელ ნ. ლიტლვუდს და 4,5 ქულით შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ბ. სპასკი და ე. ვასიუკოვი 25-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. მანამდე სპასკიმ მოიგო გადადებული პარტია რუმინელ ფ. გეორგიუსთან. ახლა საბჭოთა დიდოსტატებს 4-4 ქულა აქვთ. 3,5 ქულით მომდევნო ადგილზეა ვ. ულმანი (გდრ).

# სპორტული იანვარი

მოსკოვი (ჩვენი კორ.). ადგილობრივი ჟურნალისტების წინაშე ამას წინათ გამოსულმა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. კაზანსკიმ განაცხადა, რომ 1965 წელს საზღვარგარეთ იყო 521 საბჭოთა სპორტული დელეგაცია. ამ პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მასპინძლობა გაუწია უცხოეთის 396 დელეგაციას.

წლეულს ეს მეგობრული ურთიერთობა გაცილებით გაფართოვდება, რასაც მოწმობს იანვრის სპორტული კალენდარიც. 1966 წლის პირველსავე თვეში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები გამოვლენ 35 საერთაშორისო ტურნირსა და შეხვედრაში. მათგან ყველაზე საინტერესო იქნება საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც გაიმართება 28-30 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში.

„ლელოს" კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. დიაკინმა ამ შეჯიბრებას უწოდა მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი. თბილისში გამოვლენ ბულგარეთის, უნგრეთის, თურქეთის, ირანის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი მოჭიდავეები.

ბუნებრივია, რომ იანვრის სპორტულ კალენდარში უხვად უნდა იყოს შეჯიბრებები ზამთრის სახეობებში. ეს ასეცაა. მათგან ყველაზე დიდი იქნება ევროპის პირველობა მოციგურე ვაჟთათვის, რომელიც გაიმართება 22-23 იანვარს ჰოლანდიაში. მანამდე საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ იტალიაში, აგრეთვე სსრკ — ნორვეგიის მატჩებში, რომლებიც ლენინგრადსა და მოსკოვს ჩატარდება. ბევრი საქმე ექნებათ საბჭოთა მოთხილამურეებს და ორჭიდელებს. ისინი გამოვლენ გდრ-ის, შვეიცარიის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ბაზებზე. საქართველოს სპორტსმენები იასპარეზებენ პოლონეთში, სადაც 21-25 იანვარს მოეწყობა ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრება.

ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში 15 იანვარს შვერინში შეხვდება გდრ-ის ნაკრებს, ხოლო მოსკოვის „ტრუდის" ქალები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ითამაშებენ საფრანგეთის გუნდთან. მოსკოველი წყალბურთელები ჩავლენ გენუაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ თამაშებში.

საინტერესო შეხვედრები ელით ფეხბურთელებს. სსრ კავშირის ნაკრები მატჩებს გამართავს არგენტინისა და მექსიკის გუნდებთან. განზრახულია აგრეთვე საბჭოთა ფეხბურთელების ხელმეორედ გამგზავრება ბრაზილიაში, პერუში, ურუგვაისა და ჩილიში.

მოსკოვის სპორტის სასახლეში პირველად მოეწყობა მძლეოსანთა ზამთრის საერთაშორისო შეჯიბრება ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის პრიზზე. ასპარეზობა გაიმართება 29-30 იანვარს.

ჰ. ხაჩიძე.

# მასივებში — ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მძლავრი მაჯისცემა!

## „დელისის“ უნაყოფო სეზონი

7 სახლმმართველობა ემსახურება ძველი და ახალი საბურთალოს ათეული ათასობით მცხოვრებს. რომელიც გნებავთ კვარტალში მიბრძანდით და სპორტით გატაცებულთა მთელ არმიებს ნახავთ. ახალგაზრდები და ზოგჯერ ხანშიშესულებიც წლის ყოველ დროს დილიდან საღამომდე თამაშობენ ფეხბურთს, ხელბურთს, ფრენბურთს, კალათბურთს... მაგრამ ეს მხოლოდ არაორგანიზებული ჯგუფებია. ყოველივე ამას ხედავდნენ სახლმმართველობები, ფიზკულტურისა და სპორტის ვეტერანები, გრძნობდნენ, რომ აუცილებელი იყო ერთიანი, დამრაზმავი ბირთვი, ორგანიზატორობას კი ვერავინ კისრულობდა. მაშინ...

... დახმარება ზემოდან მოვიდა. მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიაღმასკომი მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განვითარების საკითხს იხილავდა. მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და ფიზკულტურულ საქმიანობაში ბავშვების, დიასახლისების, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ორგანიზებული ჩაბმის მიზნით სპორტკავშირის თავმჯდომარეს კ. სახვაძესა და რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს ო. ჯაშს დაავალეს ამ მიკრორაიონის ენთუზიასტების დარაზმვა, დიღმის მასივის სახალხო კლუბ „დილასა“ და ნავთლუღის მასივის სახალხო კლუბ „გაზაფხულის“ მსგავსი ორგანიზაციის საერთო ძალით შექმნა.

დელისელთა სახალხო კლუბის დამფუძნებელ კრებაზე მართლაც მრავლად იყვნენ აქტივისტები, სპორტის ვეტერანები, პენსიონერები, სპორტული მუშაკები, ახალგაზრდები. თავყრილობას არც ერთი სახლმმართველიც არ დაჰკლებია.

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ, სინანულს გამოთქვამდნენ ამ სასარგებლო ღონისძიებაში ასე რომ ჩამორჩნენ და გულახდილად აღიარებდნენ ჭეშმარიტებას: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

და აი, დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კლუბის გამგეობა. მისი ხელმძღვანელობა დაევალა ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატს. თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს, მასივში მცხოვრებ ე. ნიკოლაიშვილს, მოადგილეებად აირჩიეს მოტოსპორტის ენთუზიასტი, პენსიონერი გ. ნავროზაშვილი და იპოდრომის დირექტორი კ. ნაჭყებია. მაშინვე შედგა კლუბის ნათლობაც. მას ერთხმად დაარქვეს „დელისი“.

დამფუძნებელი კრება დამთავრდა. ხალხი დაიშალა, დარჩნენ მხოლოდ პლენუმის წევრები, რომელთაც დასახეს კონკრეტული ამოცანები: გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ყველა ასაკის ადამიანთა ჩაბმა, საზოგადოებრივი ძალებით მარტივი ტიპის სპორტნაგებობათა მოწყობა, ინვენტარის შეძენა, სექციების საქმიანობის წარმართვა და შეჯიბრებათა ჩატარება, სპორტის პროპაგანდისთვის ზრუნვა, საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელი სემინარების გამართვა. გადაწყვიტეს წმინდა სპორტული ასპარეზობის გარდა დიდი ყურადღება დაეთმოთ ყველა სახის ზოგად-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ტურისტული ლაშქრობებისთვის, ყველგან შეექმნათ ჯანმრთელობის ჯგუფები, „დილასა“ და „გაზაფხულთან“ ჩაეტარებინათ ამხანაგური და სამატჩო შეხვედრები.

ყოველივე ეს მოხდა გასული სეზონის სტარტზე.

როგორც ვხედავთ, დასაწყისი მართლაც რომ კარგი იყო, მაგრამ შედეგი... სავალალო.

ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „დელისის“ გამგეობას წელიწადი შარშანდელი თოვლივით ისე შემოადნა ხელში, რომ ღირსსახსოვარი არაფერი მოიმოქმედა. მხოლოდ გ. ნავროზაშვილის საქმიანობა იგრძნობოდა. მან რამდენიმე მოტოსექცია ჩამოაყალიბა და ლაშქრობები მოაწყო. სხვები სალათას ძილს მიეცნენ.

არავის უზრუნია ბაზების აგების, სექციების შექმნის, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების ზოგად-გამაჯანსაღებელი ჯგუფების დაარსებისთვის. ათასობით სპორტის მოყვარული კვლავინდებურად „ველურ“ საქმიანობას ეწეოდა, ბავშვები — კოჭაობით, მოზრდილები — ნარდითა და დომინოთი იქცევდნენ თავს, ან ყველანი ერთად ბურთს ურტყამდნენ ქვებით მონიშნულ კარში...

და აი, ამის ერთ-ერთი კანონზომიერი შედეგიც: ჯანმრთელობის საქალაქო სპარტაკიადაში ორჯონიკიძის რაიონმა ბოლო ადგილი დაიკავა.

სახლმმართველობების საერთო შემოსავლის 1 პროცენტი მოსახლეობის კულტმასობრივ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს უნდა მოხმარდეს. ეს საკმაო თანხას შეადგენს, რაც სახალხო კლუბის გამგეობის დაუდევრობის გამო აუთვისებელი დარჩა. ამ სახსრებითა და ათასობით სპორტის მოყვარულთა შრომითი მონაწილეობით კი მრავალი მოედნის მოწყობა და საკმაო ინვენტარის შეძენა შეიძლებოდა.

საკვირველია, გამგეობის ხელმძღვანელები პრინციპულად რატომ არ მიუდგნენ ხალხის ნდობას?..

ბოლოს, როცა მასიველები დარწმუნდნენ, რომ სახალხო კლუბ „დელისიდან“ ხეირს ვერ ნახავდნენ, თვითონ დაიწყეს გამოსავლის ძიება. საამისოდ პირველი ნაბიჯი გადადგა 68-ე სახლმმართველობამ და ორჯონიკიძის რაიონის მე-8 საზოგადოებრივმა საბჭომ, რომელმაც გასული წლის II კვარტალში სპორტმოედნის მოწყობა განიზრახა. მიზნის განხორციელებისთვის იგი თითქმის 6 თვეს ებრძოდა სხვადასხვა დაბრკოლებას: ჯერ სათანადო ნახაზების შედგენა გაჭიანურდა, მერე თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველომ უარი თქვა დახმარებაზე, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა და ამას წინათ II კვარტალში მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა მუშაობა გააჩაღა. მაგრამ მეორე ნაწილში, უმცირესობაში, აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებსაც არ ეპიტნავათ ეს სასიკეთო წამოწყება. თუ რა დაბრკოლებას წააწყდნენ ენთუზიასტები, მოგითხრობთ ვ. მიქაბერიძის წერილი, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

## უმადურობის მსხვერპლი

რამდენიმე წელია საბურთალოს მასივის II კვარტალში ვცხოვრობ. ხშირად მინახავს IV და V კორპუსებთან არსებულ, მოედნის მსგავს თავისუფალ ადგილზე „ველურად“ მოასპარეზე ბავშვები. ისიც არაერთხელ მსმენია, თუ როგორ საყვედურობდნენ ნორჩები: ჩვენ რომ ხეირიანი სპორტული მოედნები გვქონდეს, ვერც ერთი უბანი ვერ დაგვძლევდაო.

და აი, ბოლოს და ბოლოს მათ ოცნებას ფრთები შეესხა. გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები — ორჯონიკიძის რაიონის მე-8 საზოგადოებრივი საბჭოს წევრები. სახსრები გამონახეს, აქტივისტები დარაზმეს, მუშა ნახაზებზე გაჩნდა ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ბიჭების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ახლა საჭირო იყო საქმის დროულად დაწყება, სანამ ამინდიც უწყობდათ ხელს. მათაც გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მშენებლებს — თვითონ გადაეტანათ ნარგავები. სპორტის მოყვარულებს ამ საქმეში დაეხმარნენ IV კორპუსის მცხოვრებნი—ჟურნალისტი ო. გაგუა და ინჟინერი მ. გობეჯიშვილი.

საერთო ძალით „შეუტიეს“ ნარგავებს, მაგრამ საქმეში ჩაერია მეულლითურთ გზადგავლილი V კორპუსის მკვიდრი, ვინმე რ. სალია.

— ვინ მოგცათ ნარგავების მოთხრის უფლება. ახლავე შეწყვიტეთ მუშაობა! — მკვახედ შეუტია ენთუზიასტებს „ტყის მეგობარმა“.

სალიას დაწვრილებით გააცნეს საქმის ვითარება და მუშაობა განაგრძეს. მაგრამ დახეთ, კვარტალის კეთილმოწყობაზე „მზრუნველი“ რ. სალია განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა, თუ „ავტორიტეტშელახულს“ არ უნდოდა იარაღის დაყრა, მზაკვრულ გზას მიმართა — შეცდომაში შეიყვანა წესრიგის დამცველნი:

— არიქა, გვიშველეთ, ვიღაც უცნობები ნარგავებს იპარავენ, დროზე თუ არ მიუსწრებთ გვიანღა იქნება!..

და მილიციელებმაც ოპერატიულად ჩაატარეს ოპერაცია, ყველა მხრიდან შემოერტყნენ „ბანდიტებს“ და მილიციის უახლოეს პუნქტში წააბრძანეს.

სამართალმა თავისი ქნა. ქვეგანყოფილებაში „ბანდიტები“ ჭეშმარიტი ქველმოქმედნი აღმოჩნდნენ, რომლებიც მადლობის მეტს არაფერს იმსახურებენ. რ. სალიას პირს ჩალა გამოავლეს, პროვოკაციის მსხვერპლთ ბოდიში მოუხადეს, მაგრამ... ფოსტლებსა და შეუფერებელ ტანსაცმელში გამოწყობილნი ფეხით გაუშვეს შინისაკენ — 2-3-კილომეტრიან გზაზე (მაშინ, როცა „შემთხვევის“ ადგილიდან მანქანით უკრეს თავი პუნქტში). ასე შეურყიეს კარგი საქმისადმი რწმენა, ასე გადაასხეს ცივი წყალი მათს ენთუზიაზმს, რომლებიც გულმხურვალედ, საკუთარი ძალების დაუზოგავად ილვწოდნენ საზოგადო საქმისთვის, მეზობელ მცხოვრებთა და იქნებ თვით რ. სალიას ბავშვების საკეთილდღეოდ.

და ვიდრე სალიას თავმოყვარეობას დააკმაყოფილებდნენ, ბავშვები საბედისწერო ნარგავთან იდგნენ და სინანულს გამოთქვამდნენ: კეთილი ძიები ხომ მათი მიზეზით „დაისაჯნენ“!.. ეჭვობდნენ, ღირს თუ არა ქველმოქმედება?!

და აი, ახლა ამ წერილით მინდა გავფანტო ნორჩების ეჭვი, ვუთხრა, რომ კეთილი საქმე ყველა ჩვენგანმა უნდა აკეთოს, რომ რ. სალია და მისი მსგავსნი ჩვენი საზოგადოების ისეთ იშვიათობას წარმოადგენენ, რომლებიც ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავენ, პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ და, სამწუხაროდ, ზოგჯერ ძალუძთ სხვებისთვის ტკივილის მიყენებაც.

მაგრამ ეს დროებითია, წარმავალია, შემთხვევითია, ჩემო პატარა მეგობრებო!

ვ. მიქაბერიძე.

*რედაქციისაგან:* ქველმოქმედთა ენთუზიაზმი მხოლოდ ზემოაღწერილ უმადურობას არ გაუნელებია. მაშინ, როცა ზემდგომ ინსტანციებს შეუთანხმდა ყველა საკითხი, როცა სპორტული ბაზის მოსაწყობად დაშვებულ იქნა მნიშვნელოვანი თანხა და, როგორც იტყვიან, საქმე საქმეზე მიდგა, ენთუზიასტებს უმტყუნეს... სწორედ იმათ, ვინც უპირველესადაა მოწოდებული მოსახლეობაში, კერძოდ, ნორჩებში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გაშლისათვის — თბილისის სპორტკავშირმა და სპორტულ ნაგებობათა სამმართველომ. მათ ვერ შეძლეს დახმარების ხელი გაეწოდებინათ კეთილ საქმესთან შეჭიდებულთათვის სულ იოლ, მაგრამ გადამწყვეტ საქმეში — სპორტული ბაზის შექმნისათვის საჭირო მანქანებითა და ზოგიერთი სხვა ხელსაწყო-ინვენტარით მომარაგებაში. ამის შედეგად კი, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, აუთვისებლობისა და დაკარგვის საფრთხეშია ის ვაი-ვაგლახით გამოყოფილი თანხა, რომელიც ბაზის შექმნას უნდა მოხმარებოდა. განა ასეთი გულცივობის შემდეგ სრულიად კანონზომიერად არ უნდა მოველოდეთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ენთუზიასტებიც ჩაიქნევენ ხელს... რატომ ვფანტავთ, რატომ ვუტეხთ გულს აქტივისტებს, რომლებსაც, პირიქით, სანთლით უნდა ვეძებდეთ? განა ზემოაღნიშნული ორგანიზაციები, ისევე როგორც რ. სალია და „მსგავსნი მათნი“ არ იცნობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უახლეს დადგენილებას მოსწავლეთა, ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შესახებ, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ „არის ნაკლოვანებანი მოსწავლეთა შორის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციაში?“

და მერე, ასეთი დაუდევრობით, გულგრილობით აპირებენ „გამოეხმაურონ“ ამ დიდმნიშვნელოვან დადგენილებას?!

საქმე უსწრაფესად, მოკლე ვადაში უნდა მოგვარდეს!





ახალი წლის წინა დღეს დიდი სიხარული სუფევდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში. სასწავლებლის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები და მათი აღსაზრდელები. შეკრებილთ მიესალმა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯორჯაძე. შემდეგ თავისი მდიდარი შთაბეჭდილებებით გამოვიდა თავისუფლების კუნძულიდან — კუბიდან ახლახან დაბრუნებული სპეციალისტი, მძლეოსნობის კათედრის მასწავლებელი ვ. ვაშაკიძე. მან ილაპარაკა კუბელი სპორტსმენების წარმატებებზე, მათს ყოველდღიურ საქმიანობაზე და ა. შ.

მერე ინსტიტუტელებმა საახალწლო ნაძვისხეს მიაშურეს. გაიმართა კონცერტი, რომელშიც საქართველოს ფილარმონიის მსახიობებთან ერთად სტუდენტმა-სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა.

**სურათებზე:** მარცხნივ — **საახალწლო ნაძვისხესთან;** მარჯვნივ — **სტუდენტი მ. ბზიკაძე ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.**

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# ტურიზმი ფრთებს შლის

საქართველოში ყოველწლიურად მატულობს ტურისტული მარშრუტებისა და საგზურების რიცხვი. ეს არცაა გასაკვირი: ჩვენი რესპუბლიკის წარმტაცი, მრავალფეროვანი ბუნება საბჭოეთის ქვეყნის ყოველი მხრიდან მოგზაურობის უამრავ მოყვარულს იზიდავს.

1966-1970 წლებში ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო ააშენებს საზაფხულო ტურისტულ ბაზებს 9 ათასი კაცისთვის. ათას ტურისტს მოემსახურება ზამთარში სათხილამურო ბაზებად აშენებული კოხტა ნაგებობანი. წლეულს დიღმის კემპინგის ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საზაფხულო ტიპის ტურბაზა. გაფართოვდება ახალი ათონის, ბიჭვინთისა და სოხუმის ბაზები, ხოლო სათაფლიას გამოქვაბულის მახლობლად ტყეში აიგება 200-კაციანი ტურისტული ბაზა.

1966 წელს თბილისის საგარეუბნო კურორტებზე — წყნეთსა და წოდორეთში დაიწყება საზაფხულო ტურბაზების მშენებლობა. ასეთივე შენობები აიგება ურეკში, ჩაქვში, ავადხარაში, გუდაუთში, ლესელიძეში, გაგრაში, ბაზალეთის ტბის ნაპირზე.

1968-1969 წლებში შავი ზღვის სანაპიროზე აიგება დიდი ტურისტული ბაზები.

ნაქერალის უღელტეხილთან მდებარე ტბის ნაპირას წამოიჭიმება ტურისტთათვის განკუთვნილი კოტეჯები. ზამთარში აქ გაიხსნება სათხილამურო ბაზა. ასეთივე ბაზები აიგება აგრეთვე ბაკურიანში, ხარისთვალასა და ფოთში.

ახლანდელთან შედარებით 1970 წელს საქართველოს ტურისტულ ბაზებში სამჯერ მეტი ტურისტი გაატარებს დროს.

# გამოვლინდნენ გამარჯვებულნი

**კალათბურთი**

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა საქალაქო შესარჩევი შეჯიბრება კალათბურთში, რომელსაც უნდა გამოევლინა ზამთრის რესპუბლიკური პირველობის მონაწილენი.

ტურნირის ლიდერი ქალთა შორის, უნივერსიტეტის გუნდი შეხვდა თავის ძველ მეტოქეს — „დინამოს". და მოხდა ისე, რომ სტუდენტთა კოლექტივის წამყვან მოთამაშეს ი. ავატკოვას სწორედ ამ დღეს ჰქონდა სასესიო ჩათვლა, ამიტომ მან ვერ მიიღო მონაწილეობა საპასუხისმგებლო მატჩში. დინამოელებმა კარგად გამოიყენეს ეს მდგომარეობა, ენერგიულად, მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 53:37. მიუხედავად ამ წაგებისა, უნივერსიტეტის კალათბურთელმა ქალებმა მაინც დაისაკუთრეს I ადგილი.

II ადგილისთვის ბრძოლა წარმოებდა განათლების განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს შორის. ნორჩმა კალათბურთელებმა კარგად ითამაშეს და მიაღწიეს გამარჯვებას — 41:38. მომავალ აგრონომებს დარჩათ III ადგილი, რაც მათ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ.

ვაჟთა შორის მთელი გათამაშების მანძილზე იგრძნობოდა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს აკლდა წამყვანი მოთამაშეები, მან ყველა 6 შეხვედრაში გაიმარჯვა. მომავალ ინჟინრებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უნივერსიტეტის კოლექტივმა. ამ ორი გუნდის მატჩის დასაწყისში დაწინაურდნენ უნივერსიტეტელები, მაგრამ მათ ვერ შეინარჩუნეს წარმატება და დამარცხდნენ — 69:78. ამ თამაშში საუკეთესო სნაიპერი იყო ნ. კასრაძე, რომელმაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს მოუტანა 27 ქულა.

უნივერსიტეტის კალათბურთელთა დამარცხებამ საშუალება მისცა „სპარტაკის" კალათბურთელებს გასულიყვნენ I ადგილზე. II ადგილზე არიან უნივერსიტეტის, ხოლო III — „ლოკომოტივის" სპორტსმენები.

ამრიგად, რესპუბლიკურ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს უნივერსიტეტისა და განათლების განყოფილების (ქალთა შორის), „სპარტაკისა" და უნივერსიტეტის (ვაჟთა შორის) გუნდებმა.

**ფ. ლეონიძე.**

# ფოტო თვალით

ბრძოლა...

ფოტო ა. შჩენიკოვისა (ნოვოსიბირსკი).



# თათბირობენ მსაჯები

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა ნ. ლატიშევის მოხსენება 1965 წლის შეჯიბრებათა მომსახურებასა და პრეზიდიუმის მუშაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ მატჩებში არბიტრებმა თავი ვერ გაართვეს მსაჯობას და დაბალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები. ასეთთა შორის არიან ა. ცაპოვეცკი, ა. ვასილიევი, ვ. ხოდინი, ს. არხიპოვი, ა. არანოვსკი და სხვანი. სულ სსრ კავშირის ჩემპიონატში წარმოდგენილ იქნა 7 პროტესტი (4 „ა" კლასის I ჯგუფში, 3 — მეორეში). არც ერთი მათგანი არ იქნა დაკმაყოფილებული.

ხაზი გაესვა იმ მდგომარეობას, რომ ქალაქებში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის მატჩები, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ ორგანიზებული გამსინჯავი კომისიების მუშაობა (გამონაკლისს წარმოადგენენ თბილისის, ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვისა და გორკის კომისიები).

პრეზიდიუმმა დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოში, რათა გადაისინჯოს ახლა მოქმედი „დებულება მსაჯთა კოლეგიებსა და სპორტის მსაჯებზე".

## საავტომობილო ორჯიდში

ზუგდიდის დოსააფის რაიონული კომიტეტის ავტომოტოკლუბმა ჩაატარა შეჯიბრება საავტომობილო ორჯიდში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ზუგდიდის სატყეო მეურნეობის, მე-2 და მე-5 სატვირთო კანტორების, ავტომოტოკლუბისა და ინგირის კოლმეურნეობის კოლექტივები.

გუნდურ I ადგილზე გავიდა სატყეო მეურნეობის კოლექტივი.

პირად პირველობაში გაიმარჯვა ჟ. ბუალავამ (სატყეო მეურნეობა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ი. თოდუა (მე-5 სატვირთო კანტორა) და ა. იობაშვილი (დოსააფი).

**ბ. ალშიბაია.**

ზუგდიდი. (ჩვენი კორ.).

## წერილი რედაქციას

### როდის დააკმაყოფილებენ ჩვენს თხოვნას?

*ბათუმის რაიონის სოფ. მახვილაურის ახალგაზრდებმა რამდენიმეჯერ მივმართეთ საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მ. ახალაძეს თხოვნით, გამოეყო ჩვენთვის მიწის ნაკვეთი ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად. ჩვენს თხოვნას მხარი დაუჭირა სოფლის სკოლის პედკოლექტივმა, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ ჩანს.*

*მახვილაურის ახალი სკოლის შენობის გვერდით არის შესაფერისი ადგილი, რომელიც გამოადგებათ მოსწავლეებსაც და სოფლის ახალგაზრდებსაც. იმედი გვაქვს „ლელოს" ფურცლებზე ჩვენი წერილის გამოქვეყნების შემდეგ მაინც გაგვიწევს ანგარიშს სოფლის თავკაცობა.*

ი. თურმანიძე, ი. ვარშანიძე, რ. დუმბაძე და სხვანი.

# მსოფლიოს ოფიციალური რეკორდები

**მძლეოსნობა**

1966 წლის 1 იანვრისათვის

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების ადგილი | დამყარების თარიღი |
|---|---|---|---|---|
| | | **ქალები** | | |
| 60 მ | 7,2 | ბ. კატბერტი (ავსტრალია) | სიდნეი | 27.II. 1960 |
| | 7,2 | ი. ბოჩკარიოვა (სსრ კავშირი) | მოსკოვი | 28.VIII. 1960 |
| 100 მ | 11,1 | ე. კლობუკოვსკა (პოლონეთი) | პრაღა | 9.VII. 1965 |
| | 11,1 | ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) | პრაღა | 9.VII. 1965 |
| | 11,1 | ვ. ტაიესი (აშშ) | კიევი | 31.VII. 1965 |
| 200 მ | 22,7 | ი. კირშენშტეინი (პოლონეთი) | ვარშავა | 8.VIII. 1965 |
| 400 მ | 51,9 | სიმ კინ დანი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) | ფხენიანი | 23.X. 1962 |
| 800 მ | 2.01,1 | ა. პეკერი (ინგლისი) | ტოკიო | 20.X. 1964 |
| 80 მ თარჯრბენი | 10,3 | ი. პრესი (სსრ კავშირი) | თბილისი | 24.X. 1965 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 43,6 | პოლონეთი (ჩეპლა, კირშენშტეინი, გორეცკა, კლობუკოვსკა) | ტოკიო | 21.X. 1964 |
| ესტაფეტა 4×200 მ | 1.37,4 | სსრ კავშირი (ალესკეროვა, სამოტიოსოვა, იტკინა, პოპოვა) | მოსკოვი | 18.VIII. 1963 |
| ესტაფეტა 3×800 მ | 6,19,2 | სსრ კავშირი (ერიკი, დმიტრიევა, სკობცოვა) | კიევი | 12.IX. 1964 |
| სიგრძეზე ხტომა | 676 | მ. რენდი (ინგლისი) | ტოკიო | 14.X. 1964 |
| სიმაღლეზე ხტომა | 191 | ი. ბალაში (რუმინეთი) | სოფია | 16.VII. 1961 |
| ბირთვი | 18,55 | თ. პრესი (სსრ კავშირი) | კასელი | 19.IX. 1965 |
| ბადრო | 59,70 | თ. პრესი (სსრ კავშირი) | მოსკოვი | 8.VIII. 1965 |
| შუბი | 62,40 | ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) | ტოკიო | 16.X. 1964 |
| ხუთჭიდი | 5.246 (10,7; 17,16; 1,63; 624; 24,7). | ი. პრესი (სსრ კავშირი) | ტოკიო | 16-17.X. 1964 |
| | | **ვაჟები** | | |
| 100 მ | 10,0 | ა. ჰარი (გფრ) | ციურიხი | 21.VI. 1960 |
| | 10,0 | ჰ. ჯერომი (კანადა) | სასკაჩევანი | 15.VII. 1960 |
| | 10,0 | ჰ. ესტევესი (ვენესუელა) | კარაკასი | 15.VIII. 1964 |
| | 10,0 | რ. ჰაიესი (აშშ) | ტოკიო | 15.X. 1964 |
| | 10,0 | ჩენ ჩია-კუანი (ჩინეთი) | შანხაი | 16.X. 1965 |
| 200 მ (პირდაპირ ბილიკზე) | 20,0 | დ. ზიმი (აშშ) | სანგერი | 9.VI. 1956 |
| | 20,0 | ფ. ბადი (აშშ) | ვილიანოვა | 12.V. 1962 |
| | 20,0 | ტ. სმითი (აშშ) | სან-ხოსე | 13.III. 1965 |
| 200 მ (მოსახვევით) | 20,2 | ჰ. კარი (აშშ) | ტემპე | 4.IV. 1964 |
| 400 მ | 44,9 | ო. დევისი (აშშ) | რომი | 6.IX. 1960 |
| | 44,9 | კ. კაუფმანი (გფრ) | რომი | 6.IX. 1960 |
| | 44,9 | ა. პლამერი (აშშ) | ტემპე | 25.V. 1963 |
| | 44,9 | მ. ლარაბი (აშშ) | ლოს-ანჯელოსი | 12.IX. 1964 |
| 800 მ | 1.44,3 | პ. სნელი (ახალი ზელანდია) | ხრისტჩერჩი | 3.II. 1962 |
| 1.000 მ | 2.16,3 | ი. მაი (გდრ) | ერფურტი | 20.VII. 1965 |
| 1.500 მ | 3.35,6 | ჰ. ელიოტი (ავსტრალია) | რომი | 6.IX. 1960 |
| 2.000 მ | 5.01,2 | ი. ოდლოჟილი (ჩეხოსლოვაკია) | სტარი ბოლესლავი | 8.IX. 1965 |
| 3.000 მ | 7.39,5 | კ. კეინო (კენია) | ჰელსინგბორგი | 27.VIII. 1965 |
| 5.000 მ | 13.24,2 | კ. კეინო (კენია) | ოკლენდი | 30.XI. 1965 |
| 10.000 მ | 27.39,4 | რ. კლარკი (ავსტრალია) | ოსლო | 13.VII. 1965 |
| 20.000 მ | 59.22,8 | რ. კლარკი (ავსტრალია) | გეელონგი | 27.X. 1965 |
| 25.000 მ | 1:15.22,6 | რ. ჰილი (ინგლისი) | ბოლტონი | 22.VII. 1965 |
| 30.000 მ | 1:32.34,6 | ტ. ჯონსტონი (ინგლისი) | უოლტონი | 16.X. 1965 |
| ერთსაათიანი რბენა | 20 კმ, 231 მ | რ. კლარკი (ავსტრალია) | გეელონგი | 27.X. 1965 |
| 110 მ თარჯრბენი | 13,2 | მ. ლაუერი (გფრ) | ციურიხი | 7.VII. 1959 |
| | 13,2 | ლ. კელჰაუნი (აშშ) | ბერნი | 21.VIII. 1960 |
| 200 მ თარჯრბენი | 22,5 | მ. ლაუერი (გფრ) | ციურიხი | 7.VII. 1959 |
| | 22,5 | გ. დევისი (აშშ) | ბერნი | 20.VIII. 1960 |
| 400 მ თარჯრბენი | 49,1 | რ. კოული (აშშ) | ლოს-ანჯელოსი | 13.IX. 1964 |
| 3.000 მ წინაღობებით | 8.26,4 | გ. რულანტსი (ბელგია) | ბრიუსელი | 7.VIII. 1965 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 39,4 | აშშ (დრაიტონი, ეშუორტი, სტებინსი, ჰაიესი) | ტოკიო | 21.X. 1964 |
| ესტაფეტა 4×200 მ | 1.22,6 | აშშ (აბილენის კოლეჯი) | მოდესტო | 31.V. 1958 |
| ესტაფეტა 4×400 მ | 3.00,7 | აშშ (კასელი, ლარაბი, უ. უილიამსი, კარი) | ტოკიო | 21.X. 1964 |
| ესტაფეტა 4×800 მ | 7.15,8 | ბელგია (ბაილი, ლანჟენუ, ლევა, მოენსი) | ბრიუსელი | 8.VIII. 1956 |
| ესტაფეტა 4×1.500 მ | 14.49,0 | საფრანგეთი (ვერვურტი, ნიკოლა, ჟაზი, ვადუ) | პარიზი | 25.VI. 1965 |
| 100 იარდი | 9,1 | რ. ჰაიესი (აშშ) | სან-ლუი | 21.VI. 1963 |
| 220 იარდი | 20,2 | ჰ. კარი (აშშ) | ტემპე | 4.IV. 1964 |
| 440 იარდი | 44,9 | ა. პლამერი (აშშ) | ტემპე | 25.V. 1963 |
| 880 იარდი | 1.45,1 | პ. სნელი (ახალი ზელანდია) | ხრისტჩერჩი | 3.II. 1962 |
| 1 მილი | 3.53,6 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | რენი | 9.VI. 1965 |
| 2 მილი | 8.22,6 | მ. ჟაზი (საფრანგეთი) | მელუნი | 23.VI. 1965 |
| 3 მილი | 12.52,4 | რ. კლარკი (ავსტრალია) | ლონდონი | 10.VII. 1965 |
| 6 მილი | 26.47,0 | რ. კლარკი (ავსტრალია) | ოსლო | 13.VII. 1965 |
| 10 მილი | 47.12,8 | რ. კლარკი (ავსტრალია) | მელბურნი | 3.III. 1965 |
| 15 მილი | 1.12.48,2 | რ. ჰილი (ინგლისი) | ბოლტონი | 22.VII. 1965 |
| სიგრძეზე ხტომა | 835 | რ. ბოსტონი (აშშ) | მოდესტო | 29.V. 1965 |
| სიმაღლეზე ხტომა | 228 | ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი) | მოსკოვი | 21.VII. 1963 |
| ჭოკით ხტომა | 528 | ფ. ჰანსენი (აშშ) | ლოს-ანჯელოსი | 25.VII. 1964 |
| სამხტომი | 17,03 | ი. შმიდტი (პოლონეთი) | ოლშტინი | 5.VIII. 1960 |
| ბირთვი | 21,51 | რ. მატსონი (აშშ) | კოლეჯი | 8.V. 1965 |
| ბადრო | 65,22 | ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია) | სოკოლოვო | 12.X. 1965 |
| შუბი | 91,72 | ტ. პედერსენი (ნორვეგია) | ოსლო | 2.IX. 1964 |
| ურო | 73,74 | დ. ჟივოცკი (უნგრეთი) | დებრეცენი | 5.IX. 1965 |
| ათჭიდი | 8.089 (10,7; 717; 13,22; 192; 47,7; 14,0; 40,99; 484; 71,75; 5.02,4). (ძველი ცხრილით 9.121 ქულა) | იან ჩუან-კვანი (ფორმოზა) | ვალნუტი | 27-28.IV. 1963 |

# თავისუფლების კუნძულზე...








თავისუფლების კუნძულის — კუბის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს 1 იანვარი — თავიანთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების მე-7 წლისთავი. ამ ხნის განმავლობაში კუბის რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულტურული მშენებლობისა და სხვა დარგებში. დიდად განვითარდა ფიზკულტურა და სპორტიც. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც უანგაროდ ეხმარებიან თავიანთ კუბელ ძმებს სპორტის აყვავებისა და მასობრიობის საშვილიშვილო საქმეში.

ჰავანის ქუჩებში ხშირად ნახავთ სპორტულ პლაკატებს (მარცხენა ზედა სურათი).

მარჯვენა ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ ფიზკულტურელებს, რომლებიც სტადიონისკენ მიემართებიან.

კუბელ გოგონებს ძალიან უყვართ გორგოლაჭიანი ციგურები. აი აქაც მოჩანს, თუ რაოდენი გატაცებით ვარჯიშობენ ისინი სპორტის ამ სახეობაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## ქვეყნები, ჩემპიონატები, ლიდერები

„ლელოს" საკუთარი ინფორმაცია

### ინგლისი

ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი შედგა ლივერპულში. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი, ადგილობრივი „ლივერპული" და ინგლისის ჩემპიონი — „მანჩესტერ იუნაიტედი". ჩემპიონმა თამაში აგრესიულად დაიწყო: ლოუმ მოატყუა რამდენიმე მცველი, მეკარეც და ბურთი კარში შეიტანა — 1:0. მასპინძლებმა მარცხს შტურმით უპასუხეს და ნახევარმცველმა სმიტმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1. მეორე ტაიმში ლივერპულელთა მარჯვენა ნახევარმცველმა მილნმა შორი მანძილიდან გაიტანა გადამწყვეტი გოლი ჩემპიონის კარში — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ასტონ ვილა" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 4:2, „ბლეკბერნ როვერზი" — „ბერნლი" 0:2, „ბლეკპული" — „ჩელსი" 1:2, „ფულჰემი" — „არსენალი" 1:0, „ლიდს იუნაიტედი" — „შეფილდ უენსდეი" 3:0, „ლესტერ-სიტი" — „სტოკ-სიტი" 1:0, „შეფილდ იუნაიტედი" — „ნორთჰემპტონი" 2:2, „სანდერლენდი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 1:5, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ევერტონი" 2:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ნოტინჰემ ფორესტი" 0:3.

24 ტურის შემდეგ ლიდერობს „ლივერპული" — 36 ქულა. „ბერნლის" 34 ქულა აქვს, „ტოტენჰემ ჰოტსპურს" — 30.

### შოტლანდია

„სელტიკის" ახალი წარმატებით აღინიშნა XVII ტური. გასვლით მატჩში ამ გუნდმა დაამარცხა „კლაიდი" — 3:1.

„გლაზგო რეინჯერსმა" შინ ადვილად სძლია „პარტიკს" — 4:0.

უამინდობის გამო არ შედგა 3 შეხვედრა. ტურის დანარჩენი შედეგებია: „დანფერმლაინ ატლეტიკი" — „მორტონი" 2:1, „ჰამილტონ აკადემიკლსი" — „მადერუელი" 1:4, „ჰიბერნიენსი" — „ჰართ ოვ მიდლოტიენი" 2:3, „სენტ-მირ..ი" — „კილმარნოკი" 4:7.

ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 16 | 58:16 | 29 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 17 | 54:14 | 29 |
| „დანფერმლაინ ატლ". | 17 | 49:26 | 26 |

### ესპანეთი

გუშინწინ გამართული XVI ტური გათამაშების ლიდერებისთვის უიღბლო გამოდგა. ლიდერი — მადრიდის „ატლეტიკო" საკუთარ მინდორზე შეხვდა „რეალ სარაგოსას". ეს საინტერესო მატჩი სტუმრების უპირატესობით წარიმართა, რომელთა შორის გამოირჩეოდა მარცხენა გარემარბი კარლოს ლა პეტრა (ესპანელი გულშემატკივრები მას „დონ კარლოსს" უწოდებენ), რომლის ხშირმა გარღვევებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მასპინძელთა დაცვა. 69-ე წუთზე ლა პეტრას მორიგი რეიდით დამფრთხალმა მადრიდელმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს, ბურთს დაეუფლა სარაგოსელთა ცენტრფორვარდი მარსელინო და „ატლეტიკოს" კარი აღებულ იქნა — 1:0. ლიდერი დამარცხდა. საბადელის მინდორზე ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში ესპანეთის ჩემპიონმა — მადრიდის „რეალმა" ძლივს დააღწია თავი დამარცხებას — 1:1.

ვალენსიაში ადგილობრივი „ვალენსია" განუწყვეტლივ უტევდა „სევილიას", მაგრამ გოლი სევილიელებმა გაიტანეს — 1:0.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „კორდოვა" — „ელჩე" 1:0, „მაიორკა" — „ბარსელონა" 1:2, „ბეტისი" — „ატლეტიკო" (ბილბაო) 3:0, „ესპანიოლი" — „ლას-პალმასი" 1:1, „მალაგა" — „პონტევედრა" 0:3.

ცხრილის ზედა სართულში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ატლეტიკო" (მადრ.) | 16 | 28:12 | 23 |
| „პონტევედრა" | 16 | 22:11 | 22 |
| „რეალი" (მადრიდი) | 16 | 24:20 | 21 |
| „ვალენსია" | 16 | 20:16 | 20 |
| „ბარსელონა" | 16 | 25:19 | 18 |



## გულშემატკივართა აზრით

ინგლისში გაიმართა გულშემატკივართა დიდი კონკურსი კითხვაზე „ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი? როგორ განაწილდება ადგილები მსოფლიოს ჩემპიონატში?"

აი, კონკურსის შედეგები: 1. ბრაზილია, 2. ინგლისი, 3-5. არგენტინა, იტალია, სსრ კავშირი, 6. უნგრეთი, 7. პორტუგალია, 8-9. ესპანეთი, გფრ, 10-11. საფრანგეთი, ურუგვაი, 12-14. მექსიკა, ჩილი, შვეიცარია, 15. ბულგარეთი, 16. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

ვარშან პოლონეთში გაიმართა ქვეყნის მოჭიდავეთა ყრილობა, რომელიც, როგორც ჟურნალი „სპორტოვეცი" აღნიშნავს, შევიდა პოლონეთის სპორტის ისტორიაში, ვინაიდან ფორუმის დელეგატთა შორის პირველად იყო სუსტი სქესის წარმომადგენელი — სოფიო რიბა, ოლშანიცის სოფლის ფიზკულტურული კოლექტივის მსაჯი ჭიდაობაში.



ი. მაიზელისი

## ღია ხაზის მნიშვნელობა

ერთხელ დოქტორმა ე. ლასკერმა კმაყოფილებით მიამბო, რომ მას დიდი ხნის განმავლობაში მისტიურ გავლენაში ჰყავდა მოქცეული ერთი უცნობი მოჭადრაკე.

— ეს მოხდა, როცა ახალგაზრდა გახლდით, მაგრამ უკვე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ვატარებდი. ერთხელ შვეიცარიის ერთ პატარა ქალაქში მომიხდა ორი კვირით ჩასვლა. იქ არავინ მიცნობდა. თავს ვუწოდებდი დოქტორ ემანუილს, რაც არავის არაფერს ეუბნებოდა. სალამოობით საქმე არა მქონდა და ადგილობრივ საჭადრაკო კლუბში დავდიოდი. ჩემი პარტნიორი ერთი უცნობი მოჭადრაკე იყო მუდამ. მე ყოველთვის შავებით ვთამაშობდი. ყველა ჩვენი პარტია ერთნაირად მიმდინარეობდა: შავებს გამოჰყავდათ ლაზიერი f6-ზე, თეთრებს—მხედარი f3-ზე და კუ g5-ზე. ამ დროს მე ვამზადებდი გრძელ როქს. თეთრები კუთი იყვანდნენ ლაზიერს, საპასუხოდ კი შავები — კუს g პაიკით. თეთრების მოკლე როქის შემდეგ ეტლით ვიჭერდი ღია ხაზს და ვიწყებდი სათანადო თამაშს (ლასკერმა მუშტი შეკრა და მრისხანე გამომეტყველება მიიღო). ერთი სიტყვით, თქვენ ალბათ ხვდებით, რომ შემდეგ სერიოზულად ვთამაშობდი —უდიდესი დაძაბულობით, მთელის ძალით და ყველა პარტიასაც ვიგებდი.

— ნება მიბოძეთ, დოქტორო ემანუილ, — მორიდებით მომმართა ერთხელ პარტნიორმა. — ვერასგზით ვერ გამიგია რატომ მაძლევთ ლაზიერს?

მე ისე მოვაჩვენე თავი, თითქოს არ მესმოდა რაზე იყო ლაპარაკი:

— მერე რა მოხდა! — ვუპასუხე. — ჯერ ერთი, ლაზიერში ვღებულობ კუს, თანაც — ღია ხაზს. როგორ გგონიათ, ეს ღია ხაზიც ხომ რამედ ღირს?!

— ვშიშობ, რომ მის ფსიქიკაში სამუდამოდ დავამკვიდრე ღია ხაზისადმი მისტიური პატივისცემა,—სიცილით დაამთავრა ლასკერმა.

რუსულიდან თარგმნა ზ. სიხარულიძემ.

მოჭიდავეთა არბიტრი — ქალი

### ბ...

● პრაღა. აქ იმყოფებოდა ვენის „რაპიდის" ხელმძღვანელი პრუკნერი. მან პრაღის „სპარტას" მწვრთნელებთან დადო შეთანხმება, რომლის ძალითაც ამ გუნდისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების თავდამსხმელი მრაზი ამიერიდან ვენის „რაპიდში" ითამაშებს. მრაზი პირველი ჩეხი ფეხბურთელია, რომელიც თავისი გუნდის ნებართვით გადადის უცხოეთში.

● პარიზი. ფრანგი მიმომხილველები „ახალ ფონტენს" უწოდებენ „ნანტისა" და ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელს ფ. გონდეს, რომელმაც მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში იუგოსლავიელებთან (პარიზში) გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ა. გერენის აზრით, წყვილი კომბენი — გონდე იგლისში ისევე შედეგიანად იმოქმედებს, როგორც შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში კოპა — ფონტენი მოქმედებდნენ.

● ბუენოს-აირესი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მოუწოდა ცნობილ უნგრელ მწვრთნელ ე. შვარცს სათავეში ჩაუდგეს არგენტინის ნაკრებს და მოამზადოს იგი მსოფლიოს პირველობისთვის. შვარცი, რომელიც ადრე ჰოლანდიის ნაკრებისა და ლისაბონის „ბენფიკას" მწვრთნელი იყო, ახლა ხელმძღვანელობს მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს".

● სტოკჰოლმი. შვეციის № 1 ფეხბურთელად 1965 წლის სეზონის შედეგების მიხედვით გამოცხადებულ იქნა თავდამსხმელი ლარსონი „მალმედან". იგი მომავალში გფრ-ის „შტუტგარტში" ითამაშებს.

● ბონი. გფრ-ის კლუბმა „ფკ მაიდერიხმა" მოიწვია ფსიქოთერაპევტი, რომელსაც თვეში 1 500 მარკას უხდიან. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, ამ სიახლით გააუმჯობესოს გუნდის შედეგები.

● სოფია. ბულგარეთის ჩემპიონის — „ლევსკის" ცენტრფორვარდი გ. ასპარუხოვი ძალიან მოსწონს „ბენფიკას" მწვრთნელს ბ. გუტმანს (ორ მატჩში ასპარუხოვმა 3 ბურთი გაიტანა პორტუგალიელთა კარში). გუტმანის სიტყვებით, „ბენფიკა" ფულს არ დაიშურებდა ამ ფეხბურთელისთვის.

● კიოლნი. ცნობილი ნახევარმცველი ეკელი ერთადერთია გფრ-ის ნაკრების 1954 წლის შემადგენლობიდან, რომელიც ჯერ კიდევ თამაშობს. იგი „ფკ ფიოლკინგენში" გამოდის. ეკელი მსოფლიოს VI ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„დინამოს" სტადიონი
6 იანვარი

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა: თბილისის ნაკრები — „დინამო" (კიევი).

ქ. თბილისის ნაკრებში გამოვლენ: კოტრიკაძე, იამანიძე, გ. სიჭინავა, ჭელიძე, კუტივაძე, პეტრიაშვილი, ვეკუა, შერბილაშვილი, მუმლაძე, კოშკელოვი, იაშვილი და სხვ.

ბილეთები გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში თამაშის დღეს, 12 საათიდან.

მატჩის დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01403